



დამოუკიდებელი ინსპექტორის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 24 სექტემბერი

დისციპლინური საქმე №29/250-18

მოსამართლე --- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

--- 2018 წლის 15 ოქტომბრის №-- - №-- საჩივრების საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრების საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 14 დეკემბრის №236/247-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ №-- - №-- საჩივრების შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 11 თებერვალს.

1. საჩივრების ავტორის მიერ მითითებული გარემოება:

1.1. №-- საჩივარში მითითებულია, რომ საქმეზე --- მოსამართლე --- კანონის უხეში დარღვევით გამოტოვა მოსამზადებელი სხდომა და საქმის წარმოებაში მიღების ეტაპზე ჩანიშნა მთავარი სხდომა.

1.2. №-- საჩივარში მითითებულია, რომ საქმეზე --- მოსამართლე --- კანონის უხეში დარღვევით გამოტოვა მოსამზადებელი სხდომა და საქმის წარმოებაში მიღების ეტაპზე ჩანიშნა მთავარი სხდომა.

1.3. №-- საჩივარში მითითებულია, რომ საქმეზე --- მოსამართლე --- კანონის უხეში დარღვევით გამოტოვა მოსამზადებელი სხდომა და საქმის წარმოებაში მიღების ეტაპზე ჩანიშნა მთავარი სხდომა.

1.4. №-- საჩივარში მითითებულია, რომ საქმეზე --- მოსამართლე --- კანონის უხეში დარღვევით გამოტოვა მოსამზადებელი სხდომა და საქმის წარმოებაში მიღების ეტაპზე ჩანიშნა მთავარი სხდომა.

1.5. №-- -- საჩივარში მითითებულია, რომ საქმეზე --- მოსამართლე --- კანონის უხეში დარღვევით გამოტოვა მოსამზადებელი სხდომა და საქმის წარმოებაში მიღების ეტაპზე ჩანიშნა მთავარი სხდომა.

1.6. №-- -- საჩივარში მითითებულია, რომ საქმეზე --- მოსამართლე --- კანონის უხეში დარღვევით გამოტოვა მოსამზადებელი სხდომა და საქმის წარმოებაში მიღების ეტაპზე ჩანიშნა მთავარი სხდომა.

1.7. №-- -- საჩივარში მითითებულია, რომ საქმეზე --- მოსამართლე --- კანონის უხეში დარღვევით გამოტოვა მოსამზადებელი სხდომა და საქმის წარმოებაში მიღების ეტაპზე ჩანიშნა მთავარი სხდომა.

ოქტომბერს, რაც მოსარჩელეს გადაეგზავნა 2018 წლის 19 ოქტომბერს.

2018 წლის 30 ოქტომბერს საქმეზე გაიმართა მთავარი სხდომა. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- იმავე სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება -- -- სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია). იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევავსოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, კერძოდ, უნდა შეფასდეს შეიცავს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს განსახილველ საქმეზე საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული საკითხები.

წარმოდგენილ ყველა საჩივარში, საჩივრის ავტორი მიუთითებს მოსამართლე -- -- მხრიდან კანონის უხეშ დარღვევაზე, რაც გამოიხატა მოსამზადებელი სხდომის გამოტოვებაში და საქმის წარმოებაში მიღების ეტაპზე მთავარი სხდომის ჩანიშვნაში.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ არსებობს სასამართლოს მთავარი სხდომის გამართვის წინაპირობები, მოსამართლე უფლებამოსილია მოსამზადებელი სხდომა გადაზარდოს მთავარ სხდომაში.

საქმის მასალების თანახმად, განსახილველ ყველა შემთხვევაში, მოსამართლე -- -- სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინებით დანიშნა სასამართლო მთავარი სხდომები. აღნიშნული განჩინებების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა ზემოთ მითითებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რაც სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესებიდან გამომდინარე ემსახურებოდა პროცესის ეკონომიურად წარმართვას და საქმის განხილვის გაჭიანურების თავიდან აცილებას. ამასთან, შეფასება, არსებობს თუ არა მთავარი სხდომის ჩატარების წინაპირობები, წარმოადგენს მოსამართლის კანონით მინიჭებულ დისკრეციულ უფლებამოსილებას, რაც დისციპლინური სამართალწარმოების დროს მსჯელობის საგანი ვერ გახდება.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძველები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

მნიშვნელოვანია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მითითება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერების თაობაზე არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინური გადაცდომად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

ამასთან, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 11 თებერვლის დასკვნით დადგინდა, რომ -- -- 2018 წლის 15 ოქტომბრის №-- - №-- საჩივრების საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გადაწყვიტა:

-- -- 2018 წლის 15 ოქტომბრის №-- - №-- საჩივრებზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი